საინფორმაციო ბიულეტინი საერთაშორისო დაცვის აპლიკანტებისთვის

(ლტოლვილის სტატუსი და დამატებითი დაცვა)

საერთაშორისო დაცვის აქტის 2015 ამოქმედება

ძვირფასო აპლიკანტო

მსურს შევეხო თქვენს მიმდინარე განაცხადს ლტოლვილის სტატუსის/დამატებით დაცვასთან დაკავშირებით.

მსურს გაცნობოთ, რომ საერთაშორისო დაცვის განაცხადებთან დაკავშირებული გამოძიების და განსაზღვრის ახალი ღონისძიებები (ლტოლვილის სტატუსი და დამატებითი დაცვა) და სახელმწიფოში დარჩენის ნებართვა დაემატება 2015 წლის საერთაშორისო დაცვის აქტს (2015 წლის აქტი), რომელიც მზადაა 2016 წლის 31 დეკემბერს ასამოქმედებლად იუსტიციისა და თანასწორობის მინისტრის მიერ.

2015 წლის აქტის თანახმად ლტოლვილთა საქმეთა კომისიის ოფისი (ORAC) გაუქმდება და საერთაშორისო დაცვის განაცხადების კვლევის პასუხისმგებლობა დაეკისრება ახალ საერთაშორისო დაცვის ოფისს (IPO), რომელიც ფუნქციონირებს ირლანდიის ნატურალიზაციის და იმიგრაციის სამსახურის ფარგლებში. ლტოლვილთა სააპელაციო ტრიბუნალი (RAT) შეიცვლება საერთაშორისო დაცვის სააპელაციო ტრიბუნალით.

2015 წლის აქტი შეიცავს გარდამავალ დებულებებს, რომლებიც შეეხება (i) განაცხადებს ლტოლვილის სტატუსზე და დამატებით დაცვაზე, რომლებიც გადაეცა ORAC-ს და (ii) აპელაციებს, რომლებიც შეტანილია RAT-ში 2015 წლის აქტის ამოქმედებამდე.

იმდენად რამდენადაც ეს მოთხოვნილია 2015 წლის აქტის გარდამავალი დებულებებით, ჩვენ დაგიკავშირდებით თქვენ 2017 წლის იანვარში, თუ 2015 წლის აქტის ახალი პროცედურები ძალაშია თქვენს არსებულ განაცხადთან ან აპელაციასთან მიმართებით. შეიძლება ამ დროს გთხოვონ დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, რომელიც დაგვეხმარება თქვენი განაცხადის დამუშავებაში. <u>გთხოვთ, გაითვალისწინეთ, რომ თქვენ არ უნდა განახორციელოთ ქმედება, სანამ არ შეგეხმიანებით.</u>

თუ ამ დროის განმავლობაში შეიცვლით მისამართს, შეგვატყობინეთ ამის შესახებ კლიენტთა მომსახურების ცენტრთან დაკავშირების გზით, ORAC/IPO, 79/83 ლოუერ მაუნთ სტრიტი, დუბლინი 2.

ეს შეტყობინება გადაეგზავნება იურიდიულ წარმომადგენლებს.

ირლანდიის ნატურალიზაციის და იმიგრაციის სამსახური
2016 წლის დეკემბერი

ამ საინფორმაციო შეტყობინების ასლი, რომელიც სამართლებლივ ინტერპრეტაციას არ უკეთებს საერთაშორისო დაცვის აქტს, 2015, ხელმისაწვდომია მთელ რიგ ენებზე ORAC-ის ვებგვერდზე (www.orac.ie) საერთაშორისო დაცვის ოფისის ფარგლებში.